მარიამ ცაძიკიძე, ნინი ბალაშვილი

ლუდვიგშაფენის უნივერსიტეტი, გერმანია

Erasmus+ პროგრამის ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის აკადემიური მენეჯერები, მარიამ ცაძიკიძე და ნინი ბალაშვილი იმყოფებოდნენ ლუდვიგშაფენის უნივერსიტეტში, გერმანია, სადაც მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ აკადემიურ და კულტურულ აქტივობებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ უნივერსიტეტის მუშაობის სპეციფიკას, აკადემიურ პროგრამებს, ლაბორატორიებსა და ინფრასტრუქტურას. შეხვედრები გაიმართა კომუნიკაციის სტრატეგიებზე, ასევე მენეჯმენტის, კონტროლისა და მდგრადი განვითარების მიმართულებებზე. კულტურულ ნაწილში მონაწილეებმა მოინახულეს მერსედეს-ბენზის მუზეუმი შტუტგარტში და ჰაიდელბერგი.

აღსანიშნავია, რომ მობილობამ ხელი შეუწყო ჩვენს წარმომადგენლებს, როგორც პროფესიული გამოცდილების გაღრმავებაში, ისე საერთაშორისო კავშირების გაძლიერებასა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმების დასახვაში.